პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 58 (10452)
პარასკევი
9
მარტი
1956 წ.

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი გორკაში (1922 წ.)

ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავი

სამი წელი გავიდა, რაც გარდაიცვალა ი. ბ. სტალინი — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გენიალური დამაარსებლის ვ. ი. ლენინის გამოჩენილი მოწაფე.

პარტიამ, დიდმა ლენინმა სტალინი გამოზარდეს როგორც ერთ-ერთი უაღრესად თვალსაჩინო რევოლუციონერი, როგორც გამოჩენილი მარქსისტი, რომელსაც ღრმად ესმოდა მარქსისტულ-ლენინური თეორია.

ი. ბ. სტალინის მთელი მოღვაწეობა მიძღვნილი იყო მშრომელი ხალხისათვის სამსახურის კეთილშობილური საქმისადმი, კომუნიზმის გამარჯვებისათვის, ლენინის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლისადმი. თვითონ ი. ბ. სტალინი ამბობდა: „რაც მე შემეხება, მე მხოლოდ ლენინის მოწაფე ვარ და ჩემი ცხოვრების მიზანია ვიყო მისი ღირსეული მოწაფე“.

დიდმა ლენინმა, რომელიც შემოქმედებითად ავითარებდა მარქსიზმს ახალ ისტორიულ პირობებში, გენიალური შორსმჭვრეტელობით დაასაბუთა ჩამორჩენილი, აგრარული რუსეთის მძლავრ, მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ გადაქცევის გზები. საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის ეს დიადი, მეცნიერულად დასაბუთებული ლენინური გეგმა, რომელიც ემყარება მშრომელი მასების შეგნებულ ენერგიასა და ინიციატივას, საფუძვლად დაედო ჩვენი დიადი პარტიის მთელ მოღვაწეობას.

ხელმძღვანელობდა რა ლენინური იდეებით, კომუნისტურმა პარტიამ გააჩაღა გიგანტური შემოქმედებითი მუშაობა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისათვის. ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ პარტია განუხრელად განაგრძობდა ამ მუშაობას ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობით.

ამ წლებში ჩამოყალიბდა ლენინელთა ხელმძღვანელი ბირთვი, რომელმაც ი. ბ. სტალინის მეთაურობით ამხილა და გაანადგურა ტროცკისტები, ბუხარინელები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები და ხალხის სხვა უბოროტესი მტრები, რომლებიც ცდილობდნენ ლენინური გზისათვის ჩამოეცილებინათ პარტია და საბჭოთა ხალხი.

გაანადგურა რა კაპიტულანტები და ურწმენონი, კაპიტალიზმის რესტავრაციის მომხრენი, კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა ხალხი შეაიარაღა სოციალისტური მშენებლობის ნათელი პერსპექტივით, გაბედულად და მტკიცედ გაუძღვა მშრომელებს ხუთწლიანი გეგმების განხორციელებისათვის, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დიადი ამოცანების შესრულებისათვის საბრძოლველად. პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა შექმნა მძლავრი მძიმე ინდუსტრია — სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ხელახალი ტექნიკური შეიარაღების საფუძველთა საფუძველი.

ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე პარტიამ მოაწყო წვრილსაკალონლო გლეხური მეურნეობის ორმა რევოლუციური გარდაქმნა მსხვილ კოლექტიურ სოციალისტურ სოფლის მეურნეობად.

ყოველივე ამან ფართო გზა გაუხსნა ქვეყნის საწარმოო ძალების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფ განვითარებას, სსრ კავშირის ხალხთა კეთილდღეობისა და კულტურის აღმავლობას.

მშრომელთა მძლავრმა შემოქმედებითმა ძალებმა, კომუნისტური პარტიის უდიდესმა ორგანიზატორულმა მუშაობამ უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა საზოგადოების მატერიალური და სულიერი ძალების უაღრესად სერიოზული შემოწმება იყო დიდი სამამულო ომი. უდიდესი საფრთხის დღეებში კომუნისტური პარტიის მოწოდებით მთელი ხალხი აღდგა თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. ომში საბჭოთა ხალხისა და მისი გმირი შეიარაღებული ძალების ისტორიულმა გამარჯვებამ, რაც მოპოვებულ იქნა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ცხადყო ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დიადი ცხოველმყოფელი ძალა და უძლეველობა.

კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა მიაღწიეს სოციალისტური სახელმწიფოს გადაქცევას მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიის ურყევ ბურჯად. პარტიამ თავისი ღონისძიებანი წარმართა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცებისაკენ, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისაკენ. ლენინს მუშათა და გლეხთა მჭიდრო კავშირი პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლეს პრინციპად მიაჩნდა. ამ კავშირის განმტკიცება კომუნისტურ მშენებლობაში ჩვენი შემდგომი წარმატებების საწინდარია, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების სიმტკიცის ურყევი საფუძველია.

მშობლიური კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს იმისათვის, რომ მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს ძმური მეგობრობა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს შორის. თავის ეროვნულ პოლიტიკაში პარტია ემყარებოდა და ემყარება დიდი ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ „მხოლოდ უდიდესი ყურადღების გამოჩენა სხვადასხვა ერის ინტერესებისადმი სპობს ნიადაგს კონფლიქტებისათვის, სპობს ურთიერთუნდობლობას...“. მიდის რა ლენინური გზით, ჩვენმა პარტიამ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი ძმური მეგობრობის უწყვეტი კავშირით შეაერთა.

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებაში. ეს წარმატებები შესაძლებელი გახდა კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით სოციალისტური სისტემის უდიდეს უპირატესობათა მეოხებით, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის გმირული შრომისა და შემოქმედებითი ინიციატივის მეოხებით. ეს წარმატებები მიღწეულია იმიტომ, რომ ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი მთელ თავის საქმიანობაში განუხრელად ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით, შემოქმედებითად ავითარებს მას.

„პარტიის XIX ყრილობის ცოტა ხნის შემდეგ სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, — თქვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე. — სოციალიზმის მტრებს იმედი ჰქონდათ, რომ პარტიის რიგებში შეიქმნებოდა დაბნეულობა, მის ხელმძღვანელობაში უთანხმოება, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში მერყეობა. მაგრამ ეს ვარაუდი ჩაიფუშა. კომუნისტური პარტია კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, უფრო მაღლა აღმართა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე დროშა.“.

ახორციელებს რა ლენინის ანდერძს, პარტია თანმიმდევრულად ატარებს მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების ხაზს. მძიმე მრეწველობის განვითარების ბაზაზე პარტია და საბჭოთა ხალხი წყვეტენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის, მოხმარების საგნების წარმოების შემდგომი ზრდის ამოცანებს.

ჩვენი პარტია უძლეველია იმიტომ, რომ იგი თვითკმაყოფილებას არ ეძლევა თავისი წარმატებების გამო, არ ჩქმალავს შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, არ მიმართავს სინამდვილის შელამაზებას, ეწევა გადამწყვეტ ბრძოლას უდარდელობისა და ყოყოჩობის წინააღმდეგ, ფართოდ აჩაღებს კრიტიკასა და თვითკრიტიკას.

პარტიის ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას და პარტიული ორგანიზაციების აქტიურობის გაძლიერებას ხელი შეუწყო პარტიული ცხოვრების იმ ნორმების აღდგენამ, რომლებიც ლენინმა შეიმუშავა. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპის აღდგენას და ყოველი ღონისძიებით განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ცხადყო, რომ ჩვენი პარტია მჭიდროდ დარაზმულია ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელიც გარემოსილია ყველა მშრომელთა უსაზღვრო სიყვარულითა და ნდობით, ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ პარტიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც განუხრელად განახორციელოს ლენინის წინასწარდასახულობანი კომუნიზმის მშენებლობის დარგში.

ყრილობამ ყოველმხრივ განიხილა პარტიის მოღვაწეობა XIX ყრილობის შემდეგ განვლილი დროის მანძილზე და დასახა გრანდიოზული ამოცანები მომავლისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებამ, რომლითაც გამოვიდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, ასახა ახლის ის გრძნობა, შემოქმედებითი ძიებისა და ინიციატივის ის სულისკვეთება, ნაკლოვანებებისადმი ის შეურიგებლობა, რაც ახასიათებს პარტიული ხელმძღვანელობის ლენინურ სტილს და ჩვენი პარტიის მთელ საქმიანობას.

ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენებაში „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956 — 1960 წლების ექვსიანი ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ დასახულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების ახალი დიადი ამოცანები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი მტკიცე რწმენით იბრძვის სსრ კავშირის იმ მთავარი ეკონომიური ამოცანის განხორციელებისათვის, რომ ისტორიულად უმოკლეს ვადებში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

მეხუთე ხუთწლედის წლებში პარტიამ მიაღწია მრეწველობის ყველა დარგის ახალ მძლავრ აღმავლობას. მეხუთე ხუთწლიანი გეგმა მრეწველობის დარგში შესრულებულ იქნა ვადამდე— 4 წელიწადსა და 4 თვეში. ახლა მრეწველობის მუშაკების წინაშე დასახულია უფრო დიდი და ახალი ამოცანები. დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მიზნად ისახავენ იმას, რომ 1960 წლისათვის სამრეწველო წარმოების დონე 1955 წელთან შედარებით ამაღლდეს დაახლოებით 65 პროცენტით.

ყრილობამ სოფლის მეურნეობის მუშაკებს მისცა გეზი — 1960 წელს მარცვლეულის წარმოება აიყვანონ 11 მილიარდ ფუთამდე და ბევრად გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ამ გეგმის შესრულება უშუალოდ მიგვაახლოებს იმასთან, რომ შევქმნათ მოსახლეობისათვის სურსათისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები გამსჭვალულია უაღრესი ზრუნვით საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის. მეექვსე ხუთწლედში, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის სერიოზულ გაუმჯობესებასთან ერთად, განხორციელდება ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის მცირეხელფასიან მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადიდება, საპენსიო საქმის მოწესრიგება, ღრმა მოხუცთა საყოფაცხოვრებო მოწყობა, და ბევრი სხვა.

დღეს ჩვენს გაზეთში ქვეყნდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მუშა-მოსამსახურეებისათვის დასვენების წინადღეებსა და უქმეების წინადღეებში სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების შესახებ. საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის ამ დაუცხრომელი ზრუნვის ეს მკაფიო გამოვლინება ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ახალი შრომითი წარმატებებით უპასუხებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

შემოქმედებითი სამუშაოების დიადმა პროგრამამ, რომელიც მოცემულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, მთელი საბჭოთა ხალხის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა მხურვალე მოწონება ჰპოვა. კომუნიზმის მშენებლობაში, მშვიდობისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის დაუშრეტელი ენერგია და მტკიცე ნებისყოფა მთელი მსოფლიოს მშრომელთა აღტაცებას იწვევს.

კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა ხალხი მტკიცე რწმენით მიდის წინ ერთადერთი სწორი გზით, რომელიც განათებულია მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მაგალითით სწავლობენ მთელი მსოფლიოს კომუნისტური და სახალხო პარტიები. ჩვენსა და ჩვენი მეგობრების გარშემო ერთიანდგებიან ასეული მილიონობით ადამიანები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების იდეებით, სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის იდეებით.

აღნიშნავენ რა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, დიდი ლენინის თვალსაჩინო მოწაფის — ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავს, საქართველოს მშრომელებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნის საუკეთესო აღნიშვნა იქნება მათი თავდადებული, შემოქმედებითი შრომა, მიმართული ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობისაკენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისაკენ.

და სავსებით უეჭველია, რომ კომუნისტური პარტიის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული ახალი გრანდიოზული ამოცანები მთლიანად იქნება შესრულებული.

საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ ერთგულია თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისა, ვინაიდან იგი პრაქტიკით თვალნათლივ დარწმუნდა, რომ კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის უმაღლესი კანონია დაუცხრომელი ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის.

ახლა მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაფერხოს ჩვენი დიდი სამშობლოს დაუძლეველი წინსვლა კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მუშა-მოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების შესახებ

დაწესდეს 1956 წლის 10 მარტიდან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებში და უქმეების წინა დღეებში ნორმალურთან შედარებით ორი საათით შემცირებული, ე. ი. ექვსი საათის ხანგრძლივობის სამუშაო დღე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წლის 8 მარტი.

თბილისიდან გაემგზავრა ვენსან ორიოლი

8 მარტს თბილისიდან სტალინგრადში გაფრინდა საფრანგეთის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, საფრანგეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ბ-ნი ვენსან ორიოლი, რომელიც სტუმრად იმყოფება საბჭოთა კავშირში. მასთან ერთად გაფრინდნენ მისი მეუღლე და თანმხლები პირები.

სტუმრები აეროდრომზე გააცილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ს. ს. როსტიაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ი. ჩოგოვაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ა. ჯავახიშვილმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. კ. მაღრაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლებმა.

მადლობა გადაიხადა რა გულითადი მიღებისათვის, ბ-ნმა ვენსან ორიოლმა თქვა: საქართველოში ყოფნით ჩვენ დიდი შთაბეჭდილება დავგრჩება.

(საქდესი).

საქართველოს მშრომელები პაჭივს სცემენ ი. ბ. სტალინის ხსოვნას

თგილისი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისს ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საამქროებში იმართება დიდი ლენინის უკვდავი საქმის განმგრძობის, კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საუბრები.

ეს ქარხანა, რომელსაც წინათ რკინიგზის მთავარი სახელოსნოები ეწოდებოდა, განთქმულია თავისი რევოლუციური ტრადიციებით.

ამხანაგი სტალინი იგონებდა, როგორ ჩაიბარა მან პირველად 1898 წელს რკინიგზის სახელოსნოების მუშათა წრე. „აქ, ამ ამხანაგების წრეში, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — მივიღე მე მაშინ ჩემი პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა... ჩემი პირველი მასწავლებლები თბილისის მუშები იყვნენ“.

საუბრების დროს მუშები ამბობდნენ, რომ ახლა ჩვენი პარტია ისე ერთიანია, როგორც არასოდეს არ ყოფილა, რომ იგი მჭიდროდ დარაზმულია ცენტრალური კომიტეტის გარშემო და მტკიცე რწმენით მიჰყავს ჩვენი ქვეყანა დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით.

ამ დღეებში სახელოვანი ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი შრომობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების განსახორციელებლად, ყრილობისა, რომელიც ახალი ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტი იყო ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

ახლა მუშები წარმატებით ასრულებენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც იკისრეს სოციალისტურ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პასუხად.

* * *

თბილისის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს — ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები აღნიშნავენ ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავს.

საწარმოს საამქროებში ეწყობა საუბრები საბჭოთა ხალხის სახელოვან გამარჯვებათა შესახებ, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აშენებს კომუნიზმის დიად შენობას, შემდგომი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XX ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების შესახებ.

დღეს ქარხანაში გაიმართება მიტინგი.

რუსთავი

რუსთავის მეტალურგები პატივს სცემენ ი. ბ. სტალინის ხსოვნას.

ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროში გუშინ გვიან საღამოს მებრძმედეები შეიკრიბნენ ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავისადმი მიძღვნილ საუბარზე. საუბარი ჩაატარა. ცვლის უფროსმა გ. კოპაძემ. მან მოუწოდა მებრძმედეებს მიაღწიონ ახალ შრომითს წარმატებებს, ამრავლონ თავიანთი წვლილი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.

უფროსმა მებრძმედემ ი. გუნწკიძემ თქვა:

— ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში სამუშაოთა ახალი გრანდიოზული პროგრამა დასახა. ჩვენ, ქართველი მებრძმედეები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მთელ ძალღონეს მოვახმართ მეექვსე ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას. წლის დასაწყისიდან რუსთავში გეგმის გადამეტებით გამოდნობილია უკვე ათასობით ტონა თუჯი. გეგმის გადამეტებით გამოდნობილი ახალი ათასობით ტონა ფოლადით განვამტკიცებთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერებას.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საამქროს ლაბორანტმა ე. სიხარულიძემ, მეგაზე ა. პოპოვმა, ღუმელის ოსტატებმა რ. მაღრაძემ და მ. გორდაშვილმა.

დღეს ქარხანაში ეწყობა ი. ბ. სტალინის ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი და საუბრები.

ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგები

დღეს, 9 მარტს, რესპუბლიკის საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში დღის 1 საათზე გაიმართება ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგები.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი ახალი შრომითი წარმატებებისაკენ მოგვიწოდებენ

★

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანები ის არის, რომ მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე მიაღწიოს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებიდან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956 — 1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

★

განვამტკიცოთ მეცნიერთა კავშირი წარმოებასთან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი უდიდეს ვალდებულებას აკისრებენ მეცნიერ მუშაკებს, კერძოდ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა მუშაკებს. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ჩვენი კვლევის შედეგმა მოკლე დროის მანძილზე უშუალო გავლენა მოახდინოს სოფლის მეურნეობის წარმოებაზე, ხელი შეუწყოს საკოლმეურნეო მინდვრებზე უფრო მეტი დოვლათის შექმნას.

ჩვენი მეცნიერები მოწოდებული არიან დაეხმარონ საკოლმეურნეო წარმოების მუშაკებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლის საქმეში. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი უფრო ხშირად იქნებიან კოლმეურნეობებში, მინდვრებზე და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ზრდის უშუალო მონაწილენი გახდებიან. ამ მხრივ ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტმა ნაყოფიერი მუშაობა გასწია იმისათვის, რომ ჩვენში ყურძნის მოსავალი ერთიორად გაზარდოს. შემუშავებულია ვენახის მოვლის ისეთი წესი, რომელიც საშუალებას იძლევა თითო ვაზზე დავტოვოთ არა 10-12 კვირტი, არამედ 20 და 35 და ზოგჯერ მეტიც. ეს მოსავალს 2-3-ჯერ და მეტად ადიდებს. ინსტიტუტი ცდებს აწარმოებს კოლმეურნეობათა 200-ზე მეტ ნაკვეთზე. სწორედ ეს ადგილებს ამ დიდი ღონისძიების დანერგვას მევენახეობაში. სულ მალე ჩვენი რესპუბლიკის ვენახების საერთო მოსავალი ერთიორად გაიზრდება.

ბოტანიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელობით განხორციელდა სათბ.-საძოვრების პასპორტიზაცია. შესწავლილია ყოველი ცალკეული ნაკვეთი და ყოველი მათგანისათვის დამუშავებულია ღონისძიება, რომლის განხორციელების შედეგად სათბ.-საძოვრების მოსავლიანობა სულ ცოტა 100 პროცენტით გაიზრდება. ახლა ჩვენი ამოცანა ის არის, რომ მეცხოველეობის კოლმეურნეობებთან მჭიდრო კავშირში ამ სათიბებს სანიმუშოდ მოვუაროთ.

სატყეო ინსტიტუტის მუშაობა წარმართულია იქითკენ, რომ გამომუშაოს ღონისძიებანი, რომელთა საშუალებით მთის ფერდობებზე შეინარჩუნებთ ტყეს (ამავე დროს მეიღებთ ხე-ტყესაც); იქ, სადაც ტყე განადგურებულია, მას აღვადგენთ, განადგურების გზაზე დამდგარს გადავარჩენთ, არსებულს კი შევინარჩუნებთ. ტყეს საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული ინსტიტუტის მუშაკები სამეცნიერო მუშაობას ძირითადად ეწევიან სატყეო მეურნეობის მუშაკთა მონაწილეობით, რის შედეგადაც ტყის მეურნეობის წარმოების რაციონალური ღონისძიებანი უფრო ადვილად ხორციელდება.

ჩვენმა მეცნიერებმა დაამუშავეს ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი სანაწვერალო კულტურების წარმოების დარგში. ბევრგან ნაწვერალზე ნათესია სიმინდმა ჰექტარზე 25 ცენტნერი და მეტი მარცვალი მოგვცა. მომავალში მეურნეობის ეს წესი მრავალ ათას ცენტნერ მარცვალს შემატებს ჩვენს რესპუბლიკას.

ასევე წარმატებით მუშაობენ სელექციონერები, რომლებმაც გამოიყვანეს ჩაის, პურისა და სიმინდის, ხალეულისა და ყურძნის და სხვა კულტურულ მცენარეთა მრავალი ძვირფასი ჯიში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებმა გასულ წელს კოლმეურნეებს გადასცეს 20 ათასზე მეტი მეცნარის ნერგი, 15 ტონა ძვირფასი ჯიშის თესლი. მეცნიერ მუშაკების მიერ სოფლად წაკითხულია 480-ზე მეტი მოხსენება, გამოქვეყნებულია ეურნალ-გაზეთებში, განსაკუთრებით კი სარაიონო გაზეთებში 500-მდე სტატია, მოწყობილია სხვადასხვა კურსები, რომლებზეც გადამზადდა სოფლის მეურნეობის 560 მუშაკი და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს ჯერ ცოტაა. ჩვენ გვმართებს თავდადებული შრომა იმისათვის, რომ დავამუშაოთ უფრო ეფექტიანი აგროტექნიკა საქართველოს ბუნებრივი ზონების მიხედვით, გავაუმჯობესოთ მეურნეობის ტიპი მთაში და გავხადოთ იგი უფრო რენტაბელური, დავამუშაოთ მთის ფერდობების მექანიზაციის წესები, ბაღ-ბოსტნებისა და ჩაის პლანტაციებისათვის შეგვქმნათ საჭირო იარაღ-მანქანები.

ჩვენ კიდევ უფრო განვამტკიცებთ კავშირს სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან, წარმატებით შევასრულებთ იმ ამოცანებს, რომლებსაც საბჭოთა მეცნიერებს უსახავენ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ნ. კეცხოველი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე.

„ჩემი წვლილი

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მე დიდი აღფოთოვანებით შევხვდი პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. მათში დასახულია ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობის დიდი პერსპექტივები, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების ღონისძიებანი.

მრეწველობაში ახალი პროგრესული ტექნიკის დანერგვისაკენ პარტიის მიერ აღებული კურსის ნაყოფიერი გავლენა ჩვენს ქარხანაშიც თვალნათლივ იგრძნობა. უკანასკნელ თვეებში, მაგალითად, სამჭედლო-საწნეხ საამქროში ავამუშავეთ ჰიდრავლიკური წნეხები, რამაც საშუალება მისცა ქარხანას გამოეშვა ახალი სახის პროდუქცია — საზეინკლო-სამონტაჟო მოწყობილობა. გარდა ამისა, გავმართეთ გაუმჯობესებული ტიპის მაღალი წარმადობის საღარავი, საბურღავი, სახეხი და სხვა ჩარხები. ახალი მოწყობილობის გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მუშების შრომის პროდუქტიულობა.

მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ საბჭოთა ადამიანების შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისადმი გულისხმიერი და მზრუნველი დამოკიდებულების პასუხად პირობას ვიძლევი, რომ მთელი ჩემი უნარი, შესაძლებლობა და ოცდახუთი წლის საწარმოო გამოცდილება მოვახმარო პარტიის ახალ დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებას.

აქტიურ მონაწილეობას მივიღებ იმ ვალდებულებათა შესრულებაში, რომლებიც ქარხნის კოლექტივმა იკისრა. ეს ვალდებულება ითვალისწინებს წლიური გეგმა შესრულდეს ცხრა დღით ადრე, გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნას ხუთი სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხი და 300 ცალი სახარატო-თვითმაცენტრირებელი ვაზნა „ტს-200“, გადიდებულ იქნას შრომის ნაყოფიერება და შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება. ჩემი მხრივ ვკისრულობ: თუ ახლა ნორმებს 200-250 პროცენტით ვასრულებ, შემდგომში ისინი სამმაგად გავანაღდო. ეს იქნება ჩემი წვლილი ახალი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ა. კაკაბაძე,

თბილისის კამოს სახელობის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის ამწყობზეინკალი.

★ ★ ★

ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის

სკკპ XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა კომუნიზმის მშენებლობის ახალი გრანდიოზული პროგრამა დაუსახა ჩვენი ქვეყნის მშრომელებს.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ჩვენი მრეწველობის საფუძველთა საფუძველს — წარმოების საშუალებათა წარმოებას განვითარებას. ეს მნიშვნელოვნად გაზრდილი ამოცანების წინაშე აყენებს ჩვენი ქვეყნის მანქანათმშენებელი მრეწველობის მუშაკებს და კერძოდ, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივს.

ჩვენი ქარხნის მუშები უდიდესი ყურადღებით გაეცნენ პარტიის XX ყრილობის მასალებს. მანქანათმშენებლებმა გადაწყვიტეს თავიანთი წვლილი შეიტანონ მეექვსე ხუთწლედით დასახული ამოცანების განხორციელებაში. ქარხნის კოლექტივმა გულმოდგინედ შეისწავლა ადგილობრივი შესაძლებლობები, გამოუყენებელი რეზერვები და აიღო ახალი გადიდებული საწარმოო ვალდებულებები: 1956 წლის საწარმოო დავალება შეასრულოს ვადამდე, გეგმის გადამეტებით გამოუშვას 1 მილიონი მანეთის პროდუქცია, გეგმასთან შედარებით 3 პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, 2,5 პროცენტით შეამციროს სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში აითვისოს და გამოუშვას ცალმხრივი კოტასაჭრელი ჩარხის საცდელი ნიმუშები იმ ვარაუდით, რომ მეორე კვარტალში დაიწყოს ამ ჩარხების სერიული გამოშვება.

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის ჩვენი ქარხნის კოლექტივი მნიშვნელოვან ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს ახორციელებს. წელს გასული წლის დონესთან შედარებით 16 პროცენტით უნდა გავზარდოთ პროდუქციის გამოშვება და, რაც მთავარია, მოგვიხდება გაცილებით უფრო ფართო ნომენკლატურის პროდუქციის გამოშვება, ვიდრე წინათ. გარდა აბრეშუმსაქსოვი დაზგებისა, სამგზავრო და სატვირთო ლიფტებისა, სხვადასხვა ამწე მექანიზმებისა, კონვეიერებისა და სხვადასხვა ფართო მოხმარების საგნებისა, უნდა ავითვისოთ და შევუდგეთ ცალმხრივი კოტასაჭრელი ჩარხების სერიულ გამოშვებას. ეს ჩარხები სჭირდებათ ხისდამმუშავებელ მრეწველობაში კარ-ფანჯრის ჩარჩოების ინდუსტრიული მეთოდებით დამზადებისათვის.

მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის — 1956 წლის. გადიდებული ამოცანების გადასაწყვეტად ქარხანაში უკვე შევუდექით მუშაობას. საამქროებში ვმართავთ ახალ მძლავრ მანქანა-დანადგარებს, უკვე ავამუშავეთ სხვადასხვა დანიშნულების ინსტრუმენტის დასამზადებელი სპეციალური დანადგარი, რომელიც საშუალებას გვაძლევს უზრუნველვყოთ საერთო და სპეციალური დანიშნულების ინსტრუმენტით არა მარტო ჩვენი ქარხანა, არამედ მნიშვნელოვნად დავაკმაყოფილოთ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სხვა საწარმოების მოთხოვნილებაც. გავმართეთ აგრეთვე ორი კომპრესორი 14 ატმოსფეროს საერთო სიმძლავრისა, რომლის ბაზაზე იმუშავებს ორი რხევადი — საყალიბე მანქანა, რაც შეცვლის მეყალიბეთა ხელით შრომას და 40 პროცენტით შეამცირებს სამუშაოს შრომატევადობას. უკვე გადავეცით საექსპლოატაციოდ პატარა საკოქსე ბოვი, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ მაღალი სიმტკიცის, მოდიფიცირებული თუჯი. მიმდინარეობს მუშაობა მოძველებული დანადგარების მოდერნიზაციისათვის.

დაწყებულია და წარმატებით მიმდინარეობს საინსტრუმენტო-საექსპერიმენტო საამქროს რეკონსტრუქცია. ეს საამქრო მნიშვნელოვნად გაფართოვდება, აღიჭურვება ახალი ტექნიკით, აქვე განხორციელდება მძიმე დეტალების ტრანსპორტირების მექანიზაცია, რაც სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად გაგვითავისუფლებს დამხმარე მუშებს, აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას და მოგვცემს 12,2 ათასი მანეთის პირობით წლიურ ეკონომიას.

ჩვენს პროდუქციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამგზავრო და სატვირთო ლიფტებს, მაგრამ მათ დამზადებაზე ჯერ კიდევ შეარბობს ხელით შრომა. გადაწყვეტილი გვაქვს გადავსინჯოთ ზოგიერთი დეტალის დამზადების ტექნოლოგია, შესამჩნევად გავზარდოთ აღჭურვილობის კოეფიციენტი, შევამცეროთ ლიფტების გამოშვების შრომატევადობა, რაც მოგვცემს დაახლოებით 500 ათასი მანეთის პირობით წლიურ ეკონომიას.

წარმოების ზრდის, პროდუქციის გამოშვების გადიდების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას შრომის მოწინავე მეთოდების, ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა წარმოადგენს. წელს ჩვენს ქარხანაში ფართო გასაქანს მიიღებს დეტალების ჩქაროსნული და ძალისხური მეთოდებით დამუშავება. ამ მიზნით გადაწყვეტილი გვაქვს მთელი დატვირთვით გამოვიყენოთ თანამედროვე და მოდერნიზებული ჩარხები, რომლებზეც შეიძლება დიდ სიჩქარეებზე და მიწოდებებზე მუშაობა.

მაგრამ შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის, გარდა აღნიშნული ღონისძიებებისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კვალიფიკაციის ამაღლებას. ქარხანაში უკვე შექმნილია ჯგუფი ნოვატორთა მუშაობის ხერხებისა და მეთოდების შესასწავლად. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის ვაყალიბებთ 2 ჯგუფს, რომლებიც შეისწავლიან ახალი ჩარხების კონსტრუქციას, მათი დამზადების ახალ ტექნიკას.

უკვე რამდენიმე თვეა, რაც ჩვენი ქარხანა რიტმულად მუშაობს. ამას ჩვენ მივაღწიეთ ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესებით, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწია ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, და აგრეთვე იმით, რომ გარდავქმენით დამამზადებელი საამქროების — სამჭედლო, სამსხმელო და მექანიკური საამქროების მუშაობა. ამჟამად ეს საამქროები დაახლოებით ერთი-ორი თვით უსწრებენ წინ ამწყობ საამქროს. ამის შედეგად შექმნილია დეტალების მუდმივი გარდამავალი მარაგი, აღმოფხვრილია იერიშობანა. მაგრამ ყველა სახის პროდუქციის გამოშვებაში რიტმულობა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. ჩვენი მიზანი და მთავარი საზრუნავია რიტმულობის მიღწევა ყველა სახის პროდუქციის გამოშვებაში.

მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გასული ორი თვე ჩვენმა ქარხანამ მნიშვნელოვანი წარმატებით დაამთავრა. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ორი თვის გეგმა 108,1 პროცენტით შევასრულეთ, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვება 19 პროცენტით გავადიდეთ. წარმატებით მიიღის წინ ცალმხრივი კოტასაჭრელი ჩარხის ათვისებაც.

გასული ორი თვის მუშაობის ეს შედეგები მოწმობენ, რომ ჩვენი ქარხნის კოლექტივს შეუძლია პირნათლად გაანაღოს აღებული ვალდებულებები, თავისი წვლილი შეიტანოს პარტიის XX ყრილობის მიერ დასახულ დიად სამუშაოთა განხორციელებაში.

დ. ჟორჟოლიანი,

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი.

ზუგდიდის მტს-ი. წელს მეხუთე სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს კომუნისტ პიმენ გრიგოლავას მტს-ში მუშაობის 25 წელი შეუსრულდა. აქედან იგი 5 წელიწადს ტრაქტორისტად მუშაობდა და 20 წელიწადს ბრიგადირად. მისმა ბრიგადამ ვალდებულება იკისრა სკკპ ყრილობის გადაწყვეტილების პასუხად ყოველდღე შეასრულოს 40 ჰექტარი ჩაის პლანტაციების კულტივაცია გეგმით გათვალისწინებული 31 ჰექტარის ნაცვლად.

სურათზე: პ. გრიგოლავა (მარჯვნივ) დავალებას აძლევს ტრაქტორისტ კ. თორდიას.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

★

მეექვსე ხუთწლიან გეგმას ვადამდე შევასრულებთ

უკანასკნელ ორ წელიწადში ჩვენმა კოლმეურნეობამ სერიოზული მიღწევები მოიპოვა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის ბრძოლაში. ამ პერიოდში 700 ჰექტარით გავადიდეთ ნათესი ფართობი, თითქმის ერთიორად გავზარდეთ მარცვლეულის საერთო მოსავალი და საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე. გასულ სამეურნეო წელს თვითეულ საფურაკე ძრობაზე მივიღეთ 1.100 ლიტრი რძე 1953 წელს მიღებული 377 ლიტრის ნაცვლად. გადავაკარბეთ მატყლისა და ყველის მიღების დავალებებსაც.

ნათესი ფართობის სწორმა სტრუქტურამ საშუალება მოგვცა შეგვმცირებინა ჩვენი პირობებისათვის ნაკლებმოსავლიანი კულტურების (ფეტვი, გაზაფხულის ქერი და სხვ.) ნათესები, სამაგიეროდ გაგვედიდებინა მაღალ ეკონომიური ეფექტის მქონე კულტურის — სიმინდის ნათესები. თუ 1953 წლამდე არც ერთ წელს 380 ჰექტარზე მეტი სიმინდი არ დაგითესია, შარშან ამ კულტურის ნათესმა ფართობმა ნაწვერალთან ერთად 1.075 ჰექტარი შეადგინა. სიმინდის ნათესების გაფართოებით ერთდროულად გადაწყვიტეთ ორი ამოცანა — გავადიდეთ მარცვლეულის რესურსები და გამოვამტკიცეთ მეცხოველეობის საკვები ბაზა. ორი წლის შანძილზე ოთხჯერ გავადიდეთ სიმინდის საერთო მოსავალი. გასულ წელს თვითეულ საფურაკე ძრობაზე დავამზადეთ 4 ტონა სილოსი. უკანასკნელ წლებში ავითვისეთ 360 ჰექტარი ახალი მიწა და სარწყავი გავხადეთ 1.852 ჰექტარი.

კოლმეურნეობის ფუნდი შემოსავალი 1953 წლის 2.136.779 მანეთიდან 1955 წელს 3.748.788 მანეთამდე გაიზარდა. კოლმეურნეობის შემოსავლის ზრდამ აამაღლა შრომადღის ხვედრი, გაადიდა კაპიტალურ მშენებლობათა მოცულობა. მაგალითად, თუ 1953 წელს თვითეულ შრომადღეზე გავარაყნელეთ 2 მანეთი ფულად და ერთი კილოგრამი და 650 გრამი მარცვლეული, 1955 წელს გამომუშავებული თვითეული შრომადღის ხვედრმა შეადგინა 3 მანეთზე მეტი ფულად, 4 კილოგრამამდე მარცვლეული, 200 გრამი მზესუმზირა. პირუტყვისათვის ავაშენეთ ოთხი კულტურული ბინა, აგრეთვე მარცვლეულის დიდი საწყობი, გარაჟი, 1.200 ტონის ტევადობის სასილოსე ნაგებობანი.

სართიჭალელი კოლმეურნეები დიდი სიხარულით შეხვდნენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, რადგან კარგად იცან, რომ მათი განუხრელად შესრულება ახალი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება კომუნისტური მშენებლობის გზაზე.

ამ რამდენიმე ხნის წინ კოლმეურნეობის გამგეობამ, აქტივთან და სპეციალისტებთან ერთად დასახა კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების ახალი ღონისძიებანი. სკკპ XX ყრილობის დირექტივებთან დაკავშირებით. გადავსინჯეთ რა ჩვენი ვალდებულებანი, გადავწყვიტეთ ხუთწლიანი გეგმის დავალებები მარცვლეულს, ყურძნის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის დარგში შევასრულოთ არა 1960, არამედ 1958 წლისათვის. 1958 წელს საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანთ 22 ცენტნერ მარცვლეულს, 80 ცენტნერ ყურძენს. საშუალოდ ერთი საფურაკე ძრობის წველადობას გავზრდით 2.500 ლიტრამდე.

კოლმეურნეები შრომითი საქმეებით განამტკიცებენ თავიანთ გადწყვეტილებას — ხუთწლედის პირველი წლიდანვე მაღლიერ წარმატებას მეექვსე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

სართიჭალის მტს-ის მექანიზატორებმა თავის დროზე მოგვიხნეს 1.900 ჰექტარი მზრალი, რომელზეც დავთესავთ მთელ საგაზაფხულო კულტურებს. უკვე დავთესეთ 70 ჰექტარი თავთავიანი კულტურები.

ახალი მიღწევებია მოპოვებული მეცხოველეობაში მიმდინარე ბაგური კვების პერიოდში. მაგალითად, თუ 1954 წლის 1 ოქტომბრიდან 1955 წლის 1 მარტამდე მეძროხეობის ფერმამ მოგვცა 60.511 ლიტრი რძე, ახალი სამეურნეო წლის შესაბამის პერიოდში მიღებულია დაახლოებით ორნახევარჯერ მეტი — 146.634 ლიტრი.

ვიხელმძღვანელეთ რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მითითებით, გადავსინჯეთ შრომადღეების გამომუშავების სავალდებულო მინიმუმი და ოჯი, საერთო კრების გადწყვეტილებით, ათი შრომადღით გავზარდეთ. გადაწყვეტილი გვაქვს წელს შემოვიღოთ კოლმეურნეთა ყოველთვიური ავანსირება.

მეექვსე ხუთწლედის გრანდიოზული გეგმებით აღფრთოვანებულნი, ახალ წარმატებებს მოვიპოვებთ შრომაში სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ა. დემეტრაძე,

სავარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ყურძნის უხვი მოსავლისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად გათვალისწინებულია მევენახეობის ფართოდ განვითარება.

მევენახეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბოლნისის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ეკონომიკაში. მსხმოიარე ვენახი გაშენებულია 166 ჰექტარზე. აქედან შპალერზე გადაყვანილია 100 ჰექტარი. უკანასკნელად გაიზარდა ვენახების მექანიზებული წესით დამუშავება. მოსავლიანობის გადიდების მიზნით წელს ვენახებში შეტანილია გადამწვარი ნაკელი—60 ტონა თვითეულ ჰექტარზე. გათვალისწინებულია ნიადაგის განოყიერება ფოსფორისა და კალიუმის სასუქების ნარევით.

საკმაო რაოდენობით დამზადებულია სარი და ჭიგობორდის ხსნარით შეწამლვა მოეწყობა 5-ჯერ, ხოლო გოგირდის შეფრქვევა 6-ჯერ.

მევენახეობის ბრიგადები და რგოლები სრულად არის დაკომპლექტებული.

დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პასუხად არ დაიშურებენ თავიანთ ენერგიასა და გამოცდილებას საბჭოთა-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და კერძოდ ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანისათვის. ბოლნისელმა კოლმეურნეებმა განიხილეს თავიანთი შესაძლებლობანი და მტკიცედ გადაწყვიტეს წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 100 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერისა. ჩვენ, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ღვიძლ საქმედ მიგვაჩნია დავეხმაროთ კოლმეურნეებს ყურძნის მოსავლიანობის ორმაგად გადიდებაში და ჩვენი მხრივ ვკისრულობთ განვახორციელოთ მაღალი აგროტექნიკა. საამისოდ ჩვენ ყველა საშუალება გვაქვს. საჭიროა დაუღალავი შრომა, მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვა და შრომის სწორად მოწყობა.

ეს იქნება საქმით პასუხი პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე.

აგრონომები
შ. ჩინჩალაძე,
გ. გაციკაძე,
აგროტექნიკოსები
დ. სანიკიძე,
რ. გენიძე და
ქ. კუხალეიშვილი.



თბილისის ლოკომოტივსარემონტო ქარხნის კოლექტივი ამ დღეებში გაორკეცებული ენერგიით იბრძვის საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. განსაკუთრებით დაწინაურდა გოგორწყვილების სახარატო საამქროს კოლექტივი, რომელმაც სასაქონლო პროდუქციის თებერვლის გეგმა 130 პროცენტით გაანაღდა, ხოლო საერთო პროდუქციისა — 164 პროცენტით. სურათზე: (მარცხნიდან) ოსტატი უ. ალანია და საამქროს უფროსი ზ. ნანიტაშვილი არჩევენ ახალი დეტალის ნახაზებს; ხარატი თ. ალადაშვილი, რომელიც ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ანაღდებს, ელმავლის გოგორწყვილების დამუშავების დროს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

მეეკვი ქვანახშირის მოსაპოვებლად

ახალციხე. (**საკ. კორ.**). ახალციხის შახტსამმართველოს საექსპლოატაციო შახტებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XX ყრილობის გადწყვეტილებათა გასაღებლად.

ამას წინათ აქ პირველი შახტის კოლექტივის მისამართით მიიღეს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეხუთე შახტის კოლექტივის წერილი. ტყვარჩელელებმა წინადადებით მიმართეს ახალციხელებს ჩაებან მათთან სოციალისტურ შეჯიბრებაში 1956 წლის გეგმის უკეთესი მაჩვენებლებით შესრულებისათვის.

ტყვარჩელელთა წინადადება ახალციხელებმა მოიწონეს და გააჩაღეს ბრძოლა ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

პირველი შახტის კოლექტივმა, რომელიც წინათ ჩამორჩებოდა ქვანახშირის ამოღებაში, თებერვალში გეგმა გადამეტებით შეასრულა.

მეშახტეთა წარმატება

ტყიბული. (**საკ. კორ.**). პარტიის XX ყრილობის მუშაობის დღეებში მეშახტეები გაორკეცებული ენერგიით იბრძოდნენ მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის. თებერვლის გეგმის შესრულების შედეგების მიხედვით ყველას გაუსწრო მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელმაც თვიური დავალება 107,8 პროცენტით შეასრულა. 6,4 პროცენტის გადაჭარბებით გაანაღდა დავალება გელათის შახტმა. მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ლენინისა და სტალინის სახელობის შახტების კოლექტივებმა.

მთლიანად ტყიბულქვანახშირის ტრესტმა თებერვლის გეგმა 103,1 პროცენტით გაანაღდა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი ქვანახშირი მისცა.

რკინიგზელთა შრომითი მიღწევები

ხაშური. (**საკ. კორ.**). რკინიგზის ხაშურის სალიანდაგო დისტანციის კოლექტივმა საუკეთესო წარმატებები მოიპოვა პარტიის XX ყრილობისათვის მზადების დღეებში და იანვრის საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით ამიერკავკასიის გზის მასშტაბით გამარჯვებული გამოვიდა. მას საზეიმო ვითარებაში გადაეცა გზის გარდამავალი წითელი დროშა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპი ხაშურელმა მელიანდაგეებმა. ისინი ზამთრის რთულ პირობებში უზრუნველყოფენ მატარებლების უხიფათო ტარებას, გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო გეგმებს. მოწინავე საოსტატოებმა 20 რიცხვისათვის გაანაღდეს თებერვლის დავალება.

ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ხაშურის სავაგონო დეპოშიც. მევაგონეებმა გადაჭარბებით შეასრულეს თებერვლის გეგმა.

მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა

★ ★ ★

გავუთანასწორდეთ მოწინავეებს

ქარელის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ახალი ძალით გააჩაღეს ბრძოლა მიმდინარე წელს ყველა კულტურის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

ქარელის მტს-ის მესამე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ს. სულაშვილი ხელმძღვანელობს, უკვე შეუდგა საგაზაფხულო ხვნას ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში და წარმატებებს აღწევს. თესვის აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის იგი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში აგარის მტს-ის იმ ბრიგადასთან, რომელსაც ა. გეგელაშვილი ხელმძღვანელობს.

ქარელის კოლმეურნეობას, რომელსაც ვ. წიკლაური ხელმძღვანელობს, მომზადებული აქვს საგაზაფხულო კულტურებისათვის საჭირო კონდიციური თესლი. აქ გადაწყვეტილი აქვთ წელს 80 ჰექტარზე დათესონ სიმინდის ჰიბრიდული თესლი, რომელიც უკვე შეძენილია.

უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის ბევრ კოლმეურნეობას გაზაფხულმა მოუმზადებელს მოუსწრო. სოფელ სანებლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ლომიტაშვილი) 95 ჰექტარი საგაზაფხულო თავთავიანი კულტურები უნდა დათესონ. აქედან 20 ჰექტარი, სადაც ტრაქტორი ვერ იმუშავებს, მუშა პირუტყვით უნდა დამუშავდეს. თუმცა ნიადაგი საკმაოდ შემშრალია, კონდიციური სათესლე მასალა აქვთ და მუშა პირუტყვიც ჰყავთ, თესვას მაინც არ იწყებენ. რატომღაც ეს სამუშაო ნაადრევად მიაჩნიათ. ამ შეუწყნარებელ მდგომარეობას საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია გულდამშვიდებით შეჰყურებს.

— თესვისათვის მზადების საკითხი იანვარში განვიხილეთ, ღონისძიებებიც დავსახეთ, მაგრამ მუშა პირუტყვი იმდენად დასუსტებული, რომ თესვის საქმეში გამოუსადეგარიაო, — განაცხადა პარტბიუროს მდივანმა სიმონ ლომიტაშვილმა. ფაქტიურად კოლმეურნეობას საკმარისად ჰყავს მინდვრის სამუშაოებისათვის გამოსადეგი მუშა პირუტყვი, მაგრამ პარტბიუროს მდივანს ასეთი განცხადების გაკეთება თავის გასამართლებლად დასჭირდა.

გაზაფხულს მოუმზადებელი შეხვდა სოფელ ჭანდრების სტალინის სახელობის კოლმეურნეობაც (თავმჯდომარე ვ. ტაბატაძე, პარტორგანიზაციის მდივანი გ. ფილიშვილი). კოლმეურნეობას აკლია 75 ცენტნერი ხორბლის და 120 ცენტნერი კარტოფილის თესლი, აგრეთვე ბოსტნეული კულტურების თესლი. აქ ჯეროვნად არ აფასებენ ორგანულ სასუქებს. ფერმების გარშემო აუარებელი სასუქია დაგროვილი. დეკემბერ-იანვარში საუკეთესო ამინდები იყო მინდვრად ნაკელის გატანისათვის, მაგრამ ხელსაყრელი დრო არ გამოიყენეს.

ჭანდრების კოლმეურნეობაში რომ წლითიწლობით ამცირებენ მოსავლიანობას, ეს კარგად არის ცნობილი რაიონის ხელმძღვანელებისათვის. ისინი ამ კოლმეურნეობის ხშირი სტუმრები არიან, მაგრამ ღრმად არ სწვდებიან საკოლმეურნეო ეკონომიკის საკითხებს, პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ მას. პარტიის ქარელის რაიკომის მდივანმა ქარელის მტს-ის ზონაში ამხ. გ. ჯაბაურმა გასულ წელს ორი პოლიტიკური მოხსენება წაიკითხა კოლმეურნეობაში. გარდა ამისა, მოეწყო ექვსი ფასიანი ლექცია, და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ამით „ამოიწურა“. სრულებით არ იგრძნობა ამავე ზონაში რაიკომის ინსტრუქტორის გ. შავდათუაშვილის ორგანიზატორული როლი.

ჩამორჩენაა საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესლის მომარაგებასა და სათეს კონდიციამდე აყვანაში. სიწმინდის მხრივ ჯერ კიდევ უკონდიციოა 182 ცენტნერი ხორბლის და 792 ცენტნერი ქერის თესლი. აკლიათ 47 ცენტნერი ლობიოს, 166 ცენტნერი ბალახების და 83 კილოგრამი ხახვის თესლი.

პარტიის XX ყრილობამ სოფლის მეურნეობის წინაშე გადაუდებელ ამოცანად დასახა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდება. ამ დავალების შესრულება დიდ და სერიოზულ მუშაობას მოითხოვს რაიონის პარტიული, საბჭოთა ორგანოების და სოფლის მეურნეობის მუშაკებისაგან.

ვ. გურგენიძე.

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საწარმოო აღმავლობის ნიშნით

დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობაა ამ დღეებში ჩვენს მტს-ში. მექანიზატორები და სპეციალისტები პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში ხედავენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის და მათ შორის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის გრანდიოზულ პროგრამას.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს მტს-ი ყოველმხრივ მოსზადებული შეხვდა. ჯერ კიდევ პარტიის XX ყრილობის გახსნის ოთხი დღით ადრე დავამთავრეთ ტრაქტორების რემონტი, რაც კვანძური მეთოდით წარმოებდა.

მტს-ი თავის ზონის კოლმეურნეობებშა საგაზაფხულოდ დათესავს 2.550 ჰექტარს, აქედან 600 ჰექტარ სიმინდს. სიმინდს ძირითადად კვადრატულ-ბუდობრივად დავთესავთ. ამ მიზნით გადავაკეთეთ ოთხი ჩვეულებრივი სათესი მანქანა და წესრიგზე მოვიყვანეთ კვადრატულ-ბუდობრივად სათესი ორი სპეციალური მანქანა. თხუთმეტმა კაცმა — მექანიზატორებმა და კოლმეურნეებმა — გაიარა სპეციალური მომზადება და გადამზადება.

თავთავიან კულტურებს მთელ ფართობზე ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად დავთესავთ. ეს ჩვენს პირობებში ჰექტარზე სულ ცოტა 2-3 ცენტნერით ამაღლებს მოსავლიანობას. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ თესლის ჩათესვის სიღრმეს—ჩავთესავთ სულ ცოტა 8 სანტიმეტრ სიღრმეზე, რაც ხელს შეუწყობს მცენარის ფესვთა სისტემის განვითარებას და ქარის მოქმედებისაგან დაცვას.

მიმდინარე წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის პირველი ეტაპის — საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ ჩასატარებლად ფარფოდ გაწილია სოციალისტური შეჯიბრება. მექანიზატორის ი. ჯაშლაშვილის სატრაქტორო ბრიგადამ, რომელიც თელეთის კოლმეურნეობაში მუშაობს, საგაზაფხულოდ მოხნა 220 ჰექტარი. ამ ბრიგადის მექანიზატორებმა უკვე დათესეს საადრეო კულტურების პირველი 30 ჰექტარი.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში ზოგიერთი ნაკლიც გვაქვს. კუმისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა აპიანურებს მინერალური სასუქების გატანას.

ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი შეესრულოთ პირნათლად და წელს მოვიყვანოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი.

ა. ჩარქვიანი,

თელეთის მტს-ის დირექტორი.

საფუძველი ეყრება მაღალ მოსავალს

ბურჯაანი. (სპეც. კორ.). რაიონის კოლმეურნეები და მექანიზატორები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საქმით უპასუხონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. დღითიდღე ჩადება სოციალისტური შეჯიბრება მოსავლიანობის გადიდებისათვის. შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ საგაზაფხულო კულტურების დასათესად ნაკვეთები ადრევე მოამზადეს. საჭირო რაოდენობით აქვთ სიმინდის, მზესუმზირას, კარტოფილის კონდიციური თესლები. გათვალისწინებულია სიმინდი ძირითადად კვადრატულ-ბუდობრივად დათესონ. ამ საქმეში კოლმეურნეობას დახმარებას გაუწევენ ველისციხის მტს-ის მექანიზატორები.

თესვისათვის მზადება დაამთავრეს აგრეთვე გურჯაანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. საგაზაფხულო კულტურების დასათესად ნიადაგები მზრალად მოხნეს. სიმინდის დასათესად განკუთვნილ ფართობებში სასუქები შეაქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინო „ორი ოკეანის საიდუმლოება“

ენთუზიაზმი, რომლითაც ჩვენი მაყურებელი შეხვდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალ ნაწარმოებს—„ორი ოკეანის საიდუმლოებას“—* ნათელყოფს ასეთი ფილმების შექმნის საჭიროებას, მათს აღმზრდელობითს გავლენას ჩვენს ახალგაზრდობაზე. რომელსაც საინტერესო, მიმზიდველი ფორმით ეკრანი მოუთხრობს პატრიოტიზმის, თავდადებისა და კეთილშობილური მსაბუქობის შესახებ.

ფილმი „ორი ოკეანის საიდუმლოება“ შექმნილია მწერალ გ. ადამოვის ამავე სახელწოდების ფანტასტიკურ-სათავგადასავლო მოთხრობის მიხედვით.

მოქმედება წარმოებს ჩვენს დროში. ატლანტიკის ოკეანეში საიდუმლო ვითარებაში იღუპება საბჭოთა თბომავალი „არქტიკა“. ამავე დროს წყნარ ოკეანეში იძირება ფრანგული გემი „ვიქტუარი“. გემების დაღუპვის მიზეზი საიდუმლოებით არის მოცული. ამ საიდუმლოების გამოსარკვევად ლენინგრადიდან შორეულ ნაოსნობაში მიდის საბჭოთა წყალქვეშა ნავი „პიონერი“.



მტერი თავისი აგენტების საშუალებით ცდილობს მოსპოს საბჭოთა წყალქვეშა ნავი, რათა ხელი შეუშალოს გემების დაღუპვის საიდუმლოების გახსნას და აშნაირად დაფაროს თავისი დანაშაული.

მუსაკოს ივაშოვს ლენინგრადში ბინაზე ეწვევა უცნობი და წინადადებას აძლევს თავისი საიდუმლო რადიოგადამცემის საშუალებით გადასცეს დაშიფრული რადიოგრამა წყალქვეშა ნავის „პიონერის“ რეისის შესახებ. ივაშოვი ასრულებს უცნობის მოთხოვნას.

ივაშოვის მიერ გადაცემული რადიოგრამას დაიჭერენ საბალწყნოო უშიშროების კომიტეტის სუფაები. პოლკოვნიკ ბაზოვის დავალებით ივაშოვის ბინაზე მიდის ლეიტენანტი კარცევი თავისი რაზმით. მაგრამ ივაშოვის დახმარებით უცნობი ახერხებს გაქცევას, ხოლო თვით ივაშოვი თავს მოიშორებს, იგი სასწრაფო დახმარების მანქანით მიჰყავთ პროზექტურაში, მაგრამ ხანმოკლე შეჩერების დროს ივაშოვის „გვამი“ უეცრად გაქრება. ივაშოვი ახერხებს სასწრაფო დახმარების მანქანით გაქცევას.

წყალქვეშა ნავი „პიონერი“ თბომავალ „არქტიკის“ დაღუპვის ადგილს უახლოვდება. გემის რაზმი და მეცნიერი თანამშრომლები ოკეანის ფსკერზე გამოდიან გამოკვლევის მოსახდენად. გამოირკვა, რომ „არქტიკა“ დაიღუპა ატომური ბომბის აფეთქების შედეგად.

წყალქვეშა ნავზე მოქმედებს შენიღბული მტერი—ინჟინერ-მექანიკოსი გორელოვი. „არქტიკის“ დაღუპვის ადგილს გორელოვი წყალქვეშა ნავის დაბომბვის მიზნით ჯიბის რადიოგადამცემით მტერს აცნობებს ნავის კოორდინატებს. მაგრამ საბჭოთა პატრიოტები მტკიცედ იცავენ თავიანთ წმიდა მოვალეობას. სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელი სკვორეშნია, რომელიც წყალქვეშა ნავის ზემდგომ თანამდებობას ასრულებს, კვლავაკვალ მისდევს გორელოვს. ოკეანის ფსკერზე იმართება ხელჩართული ბრძოლა, მაგრამ უეცარი აფეთქება გათიშავს მათ. წყალქვეშა ნავას უფროსი ვორონცოვი გემის კურსს ცვლის, რის გამო მტრის განზრახვა — ნავი ჩაძიროს — უშედეგოდ მთავრდება. ოკეანის ზედაპირზე ამოცურებული გორელოვი მყეინთავებს წყალქვეშა ნავში მიჰყავთ. ზემდგომ სკვორეშნია არსად ჩანს, მას დაღუპულად თვლიან. მაგრამ სკვორეშნია ცოცხალი აღმოჩნდა. იგი მეცნიერმა ლორთქიფანიძემ გადაარჩინა, სკვორეშნია გადაწყვეტს ფარულად დაბრუნდეს წყალქვეშა ნავში, რათა თვალყური ადევნოს გორელოვის მოქმედებას. გორელოვი ხელთ იგდებს წყალქვეშა ნავის რეისის რუკას, დანაღმავს გემს და გაიქცევა. ამავე დროს იგი გარედან გადარაზავს წყალქვეშა ნავიდან გასასვლელს. მას დაედევნება სკვორეშნია; იგი მიდის გაბედულ რისკზე — ნაღმსატყორცნი აპარატის საშუალებით გადაშვება ოკეანეში.

პროზექტურიდან გაქცევისა და მრავალი ხიფათის შემდეგ ჯაშუში ივაშოვი რიგაში მიემგზავრება. აქ ის გამოცხადდება სასტუმროს აღმინისტრატორ სიდორინასთან, სადაც თავს წყადგებიან უშიშროების ორგანოს მუშაკები.

ივაშოვსა და სიდორინას აპატიმრებენ. მათი დაკითხვის დროს ირკვევა, რომ წყალქვეშა ნავის ინჟინერ-მექანიკოსი ნიკოლოზ გორელოვი, ყოფილი ეკიკის მსახიობი, ბერლინში საგასტროლო მგზავრობის დროს, 1938 წელს ფაშისტურმა დაზვერვამ ჩაიფარა. შემდეგ ომის პირველ წლებში მას დაავალეს გემთმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროში მოწყობა, სადაც მისი (ტუპის ცალი) ძმა ინჟინერი პეტრე გორელოვი მუშაობდა. ამ მიზნით ნიკოლოზ გორელოვმა ციერში რეპეტიციაზე მიიწვია ძმა, მოკლა იგი და ისარგებლა რა გარეგნული მსგავსებით, დაიკავა მისი ადგილი საკონსტრუქტორო ბიუროში. მოკლული ინჟინერი დასაფლავეს როგორც ციერის მსახიობი.

ომის შემდეგ ნიკოლოზ გორელოვი სარგებლობს თავისი ძმის სახელით და ადგილად ეწყობა წყალქვეშა ნავზე. ამგვარად იგი ასრულებს ახალი ომის განაღებით დაინტერესებული თავისი ახალი შეფის დავალებას.

სკვორეშნია დაეწევა ოკეანეში გაქცეულ გორელოვს იმ დროს, როცა იგი რადიოსიგნალებს გადასცემს მტრის დაზვერვას. სკვორეშნია შებოჭავს გორელოვს მისივე ანტენის მავთულით და მიჰყავს იგი წყალქვეშა ნავზე.

ამრიგად, იხსნება საზარელი დანაშაულის ხლართი, რომელიც ატლანტიკისა და წყნარი ოკეანის სიღრმეში იყო დაფარული. ოკეანის გზები უფრთხილოფილია და თავისუფალი სანაოსნო გზით უბრუნდება წყალქვეშა ნავი „პიონერი“ მშობლიურ ნაპირებს.

ასეთია ამ საინტერესო ფილმის მოკლე შინაარსი.

ფილმის განხილვისას პირველ რიგში საჭიროა აღინიშნოს მაღალი პროფესიული კულტურა, რომელიც ახასიათებს ახალ ქართულ კინოსურათს. ფილმის დამდგმელის რეჟისორ კ. პიპინაშვილის ნამუშევარი პროფესიული ოსტატობით გამოირჩევა. რეჟისორი კინემატოგრაფიულად აზროვნებს. აღსანიშნავია ფილმის დინამიკური რიტმი, სამონტაჟო ფრაზების ლაკონიურობა. დამდგმელის მდიდარი ფანტაზია ხელს უწყობს სიუჟეტური სიტუაციების გამძაფრებას, მათს დაბეგვას.

სწორად მიუდგნენ ფილმის სახვითს გადაწყვეტას მხატვრები ლ. მამალაძე და ი. მაჭავარიანი. გემოვნებ[illegible] არის გაკეთებული ფილმის მთელი დეკორაციული მხარე. [illegible] ოპერატორის ფელიქს ფისოცკის ნამუშევარი, რომელიც დიდად უწყობს ხელს ფილმის საერთო წარმატებას. ოპერატორს ახასიათებს უტყუარი ნახატრული ალღო და ვემოვნება.

შესანიშნავად არის გაკეთებული კომბინირებული გადღებაც (ფ. სემიანიკოვი, ბ. ბურავლიოვი და ა. დიღმელოვი); ოპერატორებმა ოსტატურად გადაიღეს ყველა წყალქვეშა სცენა. მეტად ეფექტიურია მთელი რიგი კადრები — ბატისფეროსა და გიგანტური კალმარის შეტაკება, ასევე ხიდზე მანქანის გადაფრენა, თბომავლების დაღუპვა და სხვ.

ფილმის წარმატებას ხელს უწყობს კომპოზიტორ ა. მაჭავარიანის დრამატული, კოლორიტული მუსიკა.

აქტიორული თვალსაზრისით ფილმი კარგ პროფესიულ დონეზე დგას.

ჟუმარიტი საბჭოთა პატრიოტის — წყალქვეშა ნავის მამაცი უფროსის ეიორონცოვის უალრესად მიმზიდველ სახეს ქმნის ცნობილი საბჭოთა მსახიობი ს. სტოლიაროვი. უშიშარი მყვინთავის სკვორეშნის როლის შემსრულებელმა ი. ელადიბირო

მსოფლიოს რუკასთან — დანია

ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებს შუა ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს პატარა სახელმწიფო დანია. მას უჭირავს იუტლანდიის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთი ნაწილი და რამდენიმე ასეული პატარა კუნძული. შედარებით დიდი და მჭიდროდ დასახლებული კუნძულებია ზელანდია, ფიუნი, ლოლანი, ფალსტერი, ლანგელანი, ბორნჰოლმი, ერე და სხვ. მათ შორის ყველაზე დიდია ზელანდია, რომელზეც მდებარეობს დანიის დედაქალაქი კოპენჰაგენი.

სამხრეთით დანია ესაზღვრება დასავლეთ გერმანიას. დასავლეთ გერმანიასთან მას სულ 68 კილომეტრზე აქვს ხმელეთის საზღვარი. ჩრდილოეთით იგი ნორვეგიისაგან გამოყოფილია სკაგერაკის სრუტეთი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით შვეციისაგან—კატეგატისა და ერესუნის სრუტეებით. იმის გამო, რომ იუტლანდიის ნახევარკუნძულზე 1887-1895 წლებში გერმანიამ გაიყვანა კილის არხი, რომლითაც ყველაზე მოკლე გზით დაუკავშირა ერთმანეთს ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვები, ფაქტიურად დანია მთლიანად კუნძულებზე გამენებული სახელმწიფოს შთაბეჭდილებას ტოვებს. მიუხედავად ტერიტორიული დაქსაქსულობისა, დანიის ნაწილები კომპაქტურად არიან განლაგებული და ერთიანი სახელმწიფოებრივი სასიცოცხლო ძარღვით უკავშირდებიან ერთმანეთს.

დანის ტერიტორიის საერთო ფართობი 42,9 ათასი კვ. კილომეტრია. მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 4,5 მილიონია. მთელი მოსახლეობის 99 პროცენტს დანიელები შეადგენენ. ეროვნულ უმცირესობებს წარმოადგენენ გერმანელები და ფროზები. დანის ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება მე-16 საუკუნეში დაიწყო. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მე-16 საუკუნიდანვე არსებობს მეგობრული კავშირი რუსეთისა და დანის სახელმწიფოებს შორის.

დანია ეკონომიურად დიდად განვითარებული ქვეყანაა. ის გარემოება, რომ ტერიტორიულად დანია მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების გზაჯვარედინზე მდებარეობს, ისტორიულად უქმნიდა მას სწრაფი განვითარების შესაძლებლობას. მდიდარია დანიის სოფლის მეურნეობა. კარგად არის განვითარებული სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტი.

დანია ბურჟუაზიული სახელმწიფოა, მმართველობის ფორმით შეზღუდული მემკვიდრეობითი მონარქია—სამეფო. 1953 წლის კონსტიტუციით საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნით მეფეს და ფოლკეტინგს (პარლამენტს) ერთად, აღმასრულებელი კი — მეფეს. მეფესთან არსებობს სახელმწიფო საბჭო. სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში შედიან: მეფე (თავმჯდომარე), ტახტის მემკვიდრე, პრემიერ-მინისტრი და მინისტრები. დანიაში ერთპალატიანი პარლამენტია, რომელსაც ირჩევენ 179 დეპუტატის შემადგენლობით 4 წლის ვადით.

დანიაში ექვსი სხვადასხვა პარტია არსებობს, მათ შორის—კომუნისტური, სოციალ-დემოკრატიული, კონსერვატიული, რადიკალური და სხვ. მთავრობას აგებენ იმ პარტიის ლიდერი, რომელსაც უმრავლესობა ჰყავს პარლამენტში. ამჟამად არსებული მთავრობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ არის შედგენილი.

დანის პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეულ როლს ასრულებს კომუნისტური პარტია, რომელიც თანმიმდევრულად იბრძვის მშრომელთა ინტერესების დაცვისთვის, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ატლანტის ოკეანეში დანიას ეკუთვნის მსოფლიოს უდიდესი კუნძული გრენლანდია, რომელზეც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებს თავიანთი შეიარაღებულ ძალთა ნაწილები ჰყავთ განლაგებული.

დანია მშვიდობისმოყვარე ქვეყანაა. იგი მუდამ მხარს უჭერდა მშვიდობას, იცავდა ნეიტრალიტეტს. დანიელი ხალხის სურვილს წინააღმდეგ დასავლეთის დიდმა სახელმწიფოებმა 1949 წლის აპრილში ეს ქვეყანა შეიყვანეს ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო ბლოკში. ამან გამოიწვია სამხედრო ხარჯების ზრდა და დანიელ მშრომელთა ცხოვრების პირობების ნიშანველოვანი გაუარესება.

საბჭოთა ხალხი იწონებს დანიის სახელმწიფო მოღვაწეთა განცხადებას იმის შესახებ, რომ დანია უცხოეთის შეიარაღებულ ძალებს არ დაუთმობს თავის ტერიტორიას და თავის სამხედრო ბაზებს. პროგრესული კაცობრიობის მოწონებასა და მხარდაჭერას პოულობს აგრეთვე დანიის წარმომადგენელთა პოზიცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და მტკიცე მოთხოვნა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი. ამ ორგანიზაციაში.

*

საბჭოთა კავშირსა და დანიას არასოდეს არ ჰქონიათ სამხედრო კონფლიქტი. თავიანთი არსებობის ისტორიაში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები მხოლოდ ერთხელ აღმოჩნდნენ დანის ტერიტორიაზე, ისიც როგორც განმათავისუფლებლები. 1945 წლის მაისში საბჭოთა არმიამ გერმანელი ოკუპანტებისაგან გათავისუფლა კუნძული ბორნჰოლმი, რომელიც მალე დაუბრუნა დანის ადმინისტრაციას.

საბჭოთა კავშირისა და დანიის ხალხები ერთმანეთისადმი ყოველთვის მეგობრულად იყვნენ განწყობილი და მხარს უჭერდნენ ეკონომიური და კულტურული კავშირის განმტკიცებას. ამ ორი ხალხის მეგობრობის განმტკიცებას დიდად უწყობს ხელს უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ღონისძიებანი. ცნობილია, რომ სსრ კავშირისა და დანის დიპლომატიური მისიები გარდაქმნილია საელჩოებად სსრ კავშირსა და დანიაში. ჯეროვანი ყურადღება ექცევა დელეგაციების ურთიერთ გაცვლას, ექსკურსიებს, სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას. 1955 წელს საბჭოთა კავშირში იყო დანის ცხრა დელეგაცია. ერთ-ერთ დელეგაციას მეთაურობდა დანიის სოფლის მეურნეობის მინისტრი სმერუმი. შარშან დანიაში იყო საბჭოთა კავშირის შვიდი დელეგაცია.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობის მოწვევით ამჟამად საბჭოთა კავშირში სტუმრად არის და ამ დღეებში საქართველოშიც ჩამოვა დანის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ხ. კ. ჰანსენი. ეხებოდა რა მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა ხალხის დამსახურებას, ხ. კ. ჰანსენმა ვნუკოვის აეროდრომზე განაცხადა, რომ „დანიელი ხალხი არ დავიწყებს საბჭოთა ხალხის გმირობას, მსხვერპლსა და განსაცდელს, მის წვლილს ომის ძლევამოსილი დამთავრების და ამით დანის გათავისუფლების უზრუნველყოფად“.



მოსკოვში დანის პრემიერ-მინისტრთან გულთბილმა შეხვედრებმა და სსრ კავშირის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებამ ცხადყო, რომ არ არის ისეთი საკითხები, რომლებიც ხელს უშლიდეს საბჭოთა კავშირისა და დანის მეგობრულ ურთიერთობას. გამოითქვა სურვილი შემდგომშიც განვითარდეს კეთილი ურთიერთობა, რომელიც უკვე არსებობს ამ ორ ქვეყანას შორის.

საყოველთაო მოწონებას ჰპოვებს ის ფაქტი, რომ მოსკოვში ხელი მოაწერეს დანიისა და საბჭოთა კავშირის შეთანხმებას ბალტიის ზღვაში ადამიანთა გადარჩენის შესახებ. პირადი კონტაქტების შემდგომი განმტკიცება, ტურიზმის განვითარება, სპორტსმენტა დელეგაციების გაცვლა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა და მშვიდობიანი თანაშრომლობა ხელს შეუწყობს არა მარტო ამ ორი ქვეყნის მეგობრული კავშირის გაშმტკიცებას, არამედ მშვიდობის განმტკიცებას ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

კ. გიორგიძე.

დანიის პრესა მიესალმება საბჭოთა კავშირ-დანიის მოლაპარაკების შედეგებს

კოპენჰაგენი, 7 მარტი. (საკდესი). კოპენჰაგენის ყველა დილას გაზეთი რამდენიმე გვერდს უთმობს საბჭოთა კავშირ-დანიის საბოლოო მოლაპარაკების აღწერასა და დოკუმენტების ხელმოწერას. სათაურებში ხაზგასმით აღნიშნულია გადაწყვეტილება დანიისა და სსრ კავშირის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ. გაზეთების უმრავლესობა მოლაპარაკების შედეგებს კომენტარს უკეთებს მოწონავე სტატიებში. „სოციალ-დემოკრატენი“ მოწონავეში აღნიშნავს, რომ ხ. კ. ჰანსენის მოსკოვში ყოფნას დადებითი შედეგები მოჰყვა. აღნიშნავს რა სავაჭრო ურთიერთობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დიდ მნიშვნელობას, გაზეთი ამბობს, რომ არ შეიძლება ჯერჯერობით არ იქნას შეფასებული შედეგები, რომლებიც მიღწეულია სხვა დარგებშიც, განსაკუთრებით კულტურის დარგში. გაზეთი აგრეთვე წერს, რომ „საერთოდ და მთლიანად მოლაპარაკება და პირადი კონტაქტი, რაც დამყარდა მოლაპარაკების დროს, ეჭვი არ არის, სასარგებლო იქნება ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობისათვის“.

„დაგენს ნიუჰეტერი“ წერს: დანია კმაყოფილებით მიესალმება სსრ კავშირისა და დანის შეთანხმებას, რომ შემდეგი თვის დამდეგს კოპენჰაგენში გაიმართოს მოლაპარაკება ახალ ორწლიან შეთანხმებაზე საქონელგაცვლის შესახებ. უდავოა, რომ ორივე მხარე დაინტერესებულია ასეთი შეთანხმებით, ხოლო განცხადებას, რომ ვაჭრობა ხალხთა ურთიერთგაგების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, ალბათ, ეველა შეუერთდება.

ვრცელ მოწონავე სტატიას სათაურით „სასარგებლო მოგზაურობა რუსეთში“ აქვეყნებს „პოლიტიკენი“. გაზეთს მიაჩნია, რომ დანიის სოფლის მეურნეობა და მრეწველობა სარგებლობას მიიღებენ იმით, რომ მათ ახლა შეუძლიათ იქონიონ ახალი ბაზრის იმედი. ამავე დროს დანიას სჭირდება ის საქონელი, რომელსაც საბჭოთა კავშირი სთავაზობს. ერებს შორის ვაჭრობა და უფრო მჭიდრო ურთიერთობა ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცებას.

მოლაპარაკების შედეგები, განაგრძობს „პოლიტიკენი“, ცხადყოფენ, რომ რუსეთში მოგზაურობა კარგი და სასარგებლო იყო: სასარგებლო ეკონომიურად, რამდენადაც მან დანიის საავაჭრო ურთიერთობა გამოიყვანა უძრაობის მდგომარეობიდან, და სასარგებლო პოლიტიკურად, რამდენადაც მან საშუალება მოგვცა განგვმტკიცებინა მეგობრული ურთიერთობა.

„ლანდ ოგ ფოლკი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხ. კ. ჰანსენის მოგზაურობა მოსკოვში მოიწონა დანიის საზოგადოებრიობის ყველა წრემ. სსრ კავშირისა და დანიის სავაჭრო ურთიერთობის საკითხის გადაჭრას, წერს გაზეთი, აფერხებდა დისკრიმინაცია, რომელიც იმით გამოიხატებოდა, რომ დანიას არ სურდა მიეყიდნა საბჭოთა კავშირისათვის ტანკერები.

„თუ დანიელი ხალხისადმი უცხო ძალებს არ მისცემენ საშუალებას ჩაერიონ საქმეში, ახლახან დადებულმა შეთანხმებამ ნამდვილად შექმნა უაღრესად ხელსაყრელი საფუძველი ეკონომიური, კულტურული და მეცნიერული ურთიერთობის არსებობით გაუმჯობესებისა და გაფართოებისათვის. ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის სასარგებლოდ და მით უფრო პატარა დანიის სასარგებლოდ“.

საზეიმო სხდომა გერლინში თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის 10 წლისთავის გამო

ბერლინი, 8 მარტი. (საკდესი). გუშინ ბერლინში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის შექმნის მეათე წლისთავს.

თეატრ „მეტროპოლის“ შენობაში შეიკრიბნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები, აგრეთვე დასავლეთ გერმანელი ახალგაზრდობის წარმომადგენლები, დემოკრატიული პარტიების, მასობრივი ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

შეკრებილნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ვილჰელმ პიკს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. დიკმანს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს ჰ. მატერნს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ბ. შოლცს, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს ე. კორენსს.

სხდომას დაესწრნენ დემოკრატიული ახალგაზრდობის საერთაშორისო ფედერაციის, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის წარმომადგენლები, საკავშირო ალკკ დელეგაცია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. ე. სემიჩასტნის მეთაურობით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების ახალგაზრდობის დელეგაციები, საფრანგეთის, იტალიის, დანიის, ნორვეგიის, ჰოლანდიის, ავსტრიის, შვეიცარიის, შვეციის, ლუქსემბურგის ახალგაზრდთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თავისუფალ გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის მეათე წლისთავის შესახებ სხდომაზე მოხსენება გააკეთა თავისუფალ გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური საბჭოს პირველმა მდივანმა კ. ნამოკელმა.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ჰ. მატერნმა.

შემდეგ გამოვიდა თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის წევრი დასავლეთ გერმანიიდან. მან ილაპარაკა, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფება დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდობა და როგორ იბრძვიან დასავლეთ გერმანელი ახალგაზრდა პატრიოტები რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე გაერთიანონ სამშობლო მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის სახელით გამოვიდა ფედერაციის პრეზიდენტი ბრუნო ბერნინი.

საკავშირო ალკკ და მთელი სსტკავშირთა ახალგაზრდობის სახელით სხდომას მიესალმა საკავშირო ალკკ დელეგაციის ხელმძღვანელი ვ. ე. სემიჩასტნი, რომელმაც თავისი სიტყვის დასასრულს წაიკითხა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მისალმება.

საკავშირო ალკკ-სა და თავისუფალ გერმანელი ახალგაზრდობის კავშირს შორის მეგობრობის ნიშნად ამზანაგმა ვ. ე. სემიჩასტნმ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სახელით მეგობრობის კომკავშირული დროშა გადასცა თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირს.

შემდეგ თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირს მიესალმნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდობის დელეგაციის ხელმძღვანელი, აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და საფრანგეთის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

სხდომის მონაწილეებმა მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას მოუწოდეს დაამყაროს ერთიანობა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

საზეიმო სხდომა დამთავრდა დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნის შესრულებით.

ბათუმის სახელმწიფო თეატრის შენობა.

სპორტის ამბები

საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ჯგუფი დელში

დელი, 8 მარტი. (საკდესი). გუშინ ინდოეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ქ-ნმა რაჯკუმარი ამრიტ კაურმა დარბაზობა გამართა დელში საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ყოფნის გამო. დარბაზობას დაესწრნენ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნეჰრუ, დიპლომატიური კორპუსის წევრები, სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დარბაზობის დროს გაიმართა საბჭოთა სპორტსმენების საჩვენებელი გამოსვლები, რომლებმაც დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეებში.

დარბაზობის შემდეგ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომლის მსვლელობაში საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ჯგუფის ხელმძღვანელმა ი. გ. ჩიუდინოვმა, აგრეთვე ჯგუფის წევრებმა უპასუხეს ინდოელი ჟურნალისტების მრავალ კითხვაზე.

გაიხსნა სტუდენტთა მსოფლიო საზამთრო ასპარეზობა

ვარშავა, 7 მარტი. (საკდესი). დღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სტუდენტთა მე-11 მსოფლიო საზამთრო ასპარეზობა. ამ უდიდეს საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობენ 19 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის, ინგლისის, ავსტრიის, ბულგარეთის, ისლანდიის, რუმიანეთის, ავსტრალიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, ბოლივიის, უნგრეთის, ბელგიის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა სახელმწიფოების სპორტსმენი სტუდენტები.

შეჯიბრება 7 დღეს გასტანს.

საღამოს ვარშავაში ღია ხელოვნურ საცეგურაოს ტრიბუნებზე შეიკრიბა სპორტის ათასობით მოყვარული. ზეიმით აღმართეს იმ ქვეყნების ალმები, რომელთა სპორტსმენები მონაწილეობენ სტუდენტთა მსოფლიო ასპარეზობაში.

ღეღესვე შეჯიბრების ალმები აღმართეს ზაკოპანეში. ხვალ დილით გაიმართება მოთხილამურე ვაჟთა გარბენა 30 კილომეტრზე.

საქართველოს ზამთრის პირველობა მძლეოსნობაში

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე რამდენიმე დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება მძლეოსნობაში საქართველოს ზამთრის პირად-გუნდურ პირველობაზე.

შეჯიბრება აღინიშნა დინამოელ სპორტსმენთა წარმატებით. მათ გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს. ასპარეზობის დღეებში დამყარებულ იქნა ახალი რეკორდი.

საქართველოს ახალი რეკორდი დამყარებულ იქნა სპორტულ სიარულში 20 კილომეტრზე. ეს შედეგი, რაც უდრის 1 საათს, 38 წუთსა და 42 წამს, აჩვენა სასპორტო საზოგადოება „შრომითი რეზერვების“ მძლეოსანმა ბ. საკალაუსკასმა.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

სოხუმში. (საკ. კორ.). სოხუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა მ. მაკლიარსკის და ა. სპეშნევის ახალი პიესა „სახიფათო გზაჯვარედინი“.

პიესის დადგმა ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს რეჟისორ ვ. გაბუნიას, მხატვრული გაფორმება — ა. ვერულეიშვილს, მუსიკა — ახალგაზრდა კომპოზიტორ ო. თევდორაძეს.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტები ა. მაგომედოვი, ნ. მიქაბაძე, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტები ს. ყანჩელი, ვ. ნინიძე, ა. ბოკუჩავა, ფ. შედანია და სხვ.

ᲐᲮᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ფ. ჯაფარიძის პიესა „ჩვენებურები“. სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა პ. ფარაგიშვილმა, მხატვრულად გაფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. ბბუანდაძემ.

სპექტაკლში მონაწილეობენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. აბაშიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ვ. სვანელი, გ. ტყაბლაძე, მ. ვაშაძე და სხვ.

თელავი. (საკ. კორ.). 1925 წლის 28 ივნისს მედიდარი თეატრალური ტრადიციების მქონე თელავის საზოგადოებამ ძვირფასი საჩუქარი მიიღო. დამთავრდა საკრებულო დარბაზის თეატრად გადაკეთება. 1925 წლიდან დღემდე თელავის თეატრის სცენაზე 250-ზე მეტი სპექტაკლი განხორციელდა.

ამას წინათ თელავის განახლებული თეატრის 30-ე სეზონი გაიხსნა რეკონსტრუირებულ შენობაში. გაკეთდა ფასადი, გაფართოვდა ფოიე, აივანი, პარტერში დაიდგა ახალი სკამები, კეთილმოწყობილია დამხმარე ოთახები, ლოჟები და სხვ.

თეატრმა პირველ დღეს მაყურებელს უჩვენა ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი“.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲤᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ:

1956 წ. 21 მარტს დღის 3 საათზე № 93 აუდიტორიაში ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲘᲖᲔᲘᲚᲘᲡ-ᲫᲔ ᲙᲐᲙᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„აბრეშუმის ჭიის ბიოლოგიური თავისებურებანი და მათი ფორმირების ზოგიერთი კანონზომიერება“.**

1956 წ. 21 მარტს დღის 3 საათზე № 104 აუდიტორიაში ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ-ᲫᲔ ᲫᲔᲚᲘᲫᲔ

დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„ხელოვნების როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმის თავისებურებათა ზოგიერთი საკითხის შესახებ“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

Ა. Ხ. ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ

დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ **11, 25 მარტს, 8, 22 აპრილს, 6, 20 მაისს** ინსტიტუტის შენობაში (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 32) დილის 10 საათიდან დღის 4 საათამდე დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებისათვის მოეწყობა კონსულტაციები. თბილისში და მის ახლოს მდებარე რაიონებში მცხოვრებ სტუდენტთა გამოცხადება სავალდებულოა.

ᲓᲦᲔᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — პიკის ქალი, **რუსთაველის სახელობის** — ჩვენებურები, **მარჯანიშვილის სახელობის**—ზავაკი, **გრიბოედოვის სახელობის** — ვერაგობა და სიყვარული, **სომხური დრამის** — საიათნოვა, **მუსიკალური კომედიის** — თბილისის ცის ქვეშ, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნაცარქექია (აბონემენტი № 36, 10 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ცისფერი და ვარდისფერი (6 ს.), **თოჯინების ქართული**— მშვიდობის ფრთებზე (11 ს.), ჩექმებიანი კატა (2 ს.), **ფილარმონია** — სიმხეთის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტის კ. მალხასიანის კონცერტი (რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი, 9 ს.).

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოსანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — დედა, ოქტომბერი, თბილისი, კოლხიდა, 26 კომისრის სახელობის, ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი—ერთ მშვენიერ დღეს, სპარტაკი, კომკავშირელი, დიდუბე, ციროვის სახელობის პარკი — გაცრუებული ოცნებები, კოლმეურნე — ორი ოკეანის საიდუმლოება.

მოქალაქე ეკატერინე სიმონის ასულმა მეჭედლიძემ, მცხოვრებმა გრიბოედოვის ქ. № 11, აღძრა საქმე პანკისის ქ. № 1 მცხოვრებ მოქალაქე ნიკოლოზ ოსეფის-ძე ზუკაკაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე თორგომ ამაიაკის-ძე მელქონიანმა, მცხოვრებმა დოლბაურის ფოუდანზე № 1, აღძრა საქმე აზიზბეკოვის ქ. № 4 მცხოვრებ მოქალაქე სილუარდ ტიგრანის ასულ მურადიანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲓᲘᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

1. უმაღლესი ნერვული მოქმედების ლაბორატორიის გამგე — 1 (ფიზიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი) მუშაობის სულ მცირე 10-15 წლის სტაჟით და ხსენებულ სპეციალობაში შრომების შესაბამისი რაოდენობით.

2. ბიოქიმიური ლაბორატორიის გამგე — 1 (ბიოქიმიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი) მუშაობის სულ მცირე 10-15 წლის სტაჟით და ხსენებულ სპეციალობაში შრომების შესაბამისი რაოდენობით.

3. კლინიკური განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი) სულ მცირე 10-15 წლის კლინიკური სტაჟით და შრომების შესაბამისი რაოდენობით.

განცხადება და ინსტრუქციით გათვალისწინებული საბუთები შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (ალუქანოვის პროსპ. № 60).

კონკურსის ვადაა 1 თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ Პ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

აცხადებს კონკურსს უმცროს მეცნიერ თანამშრომლის ეკანტურ თანამდებობაზე სპექტროსკოპიაში 1 განაკვეთზე.

განცხადებას ინსტიტუტის სახელზე დართული უნდა ჰქონდეს ორ-ორ ცალად კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან და სამეცნიერო შრომების სია.

კონკურსის ვადაა 15 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: კაშის ქ. № 34/36, ტელეფონი № 3-29-20.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ Პ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

აცხადებს კონკურსს უმცროს მეცნიერ თანამშრომლის ეკანტურ თანამდებობაზე სპექტროსკოპიაში 1 განაკვეთზე.

განცხადებას ინსტიტუტის სახელზე დართული უნდა ჰქონდეს ორ-ორ ცალად კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან და სამეცნიერო შრომების სია.

კონკურსის ვადაა 15 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: კაშის ქ. № 34/36, ტელეფონი № 3-29-20.

მეუღლე ნინო, შვილები სონა, ვანო, მარგარიტა, ლადო, ნიკოლოზ ოჯახებით იუწყებიან

დავით ივანეს-ძე კაპანაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-III ქ. ზესტაფონში. გამოსვენება ბინიდან, კალინინის მე-3 შესახვევი № 3.

მეუღლე მინადორა, შვილები გივი, ნელი, ზურაბ ოჯახებით იუწყებიან

ლევან ალექსის-ძე ზოდელავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-III, 8 ს. გამოსვენება 11-III, 2 ს. მარჯანიშვილის ქ. № 18.

შვილები დავით, ლადო, თამარი, და კატო ოჯახებით იუწყებიან

**ანეტა ალ